

შეხვედეთ საბჭოთა სპორტის კუბოსთვის!

კუბოს მოვიდა საგანგაშო ამბავი. მამაცი, თავისუფლების მოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ დაიწყო შეიარაღებული ინტერვენცია, რომელიც მოაწყეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა.

კუბის რევოლუციური ხალხის უბოროტესი მტრები მრავალი თვის

★ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მიმართვა

★
მანძილზე ამუშავებდნენ პენტაგონის კაბინეტებსა და დელის უწყებებში კუბის მიწა-წყალზე შეიარაღებული შეტრის გეგმებს. ამერიკული წარმოების ბომბდამშენების „ბ-28“ პროვოკაციული თავდასხმები კუბის ქალაქებზე, რომლებიც უკანასკნელ დღეებში მოხდა. მავანში მსხვილი შენობების დაწვა და აფეთქება — ყველაფერი ეს იყო ავბედითი გაფრთხილება და ნიშნავდა მხოლოდ ერთს: ომის პროვოკატორები ინტერვენციას ამზადებდნენ კუბის ხალხის წინააღმდეგ. და აი, ახლა მათ გადაწყვიტეს განახორციელონ თავისუფალი და დამოუკიდებელი კუბის რესპუბლიკის განადგურების გეგმა. გამოხატავს რა ყველა საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და გრძობებს,

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი მისხანედ აწილებს კუბელი ხალხის მტრების ყაჩაღურ თავდასხმას, რომელსაც ხელს უწყობენ აშშ-ს აგრესორები. ამერიკელმა იმპერიალისტებმა გამოწვევა გაუგზავნეს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო ეგროფოღებული ანტიკასტროფული ძალების ნიღბით, ესაა მშვიდობის საფრთხე მთელს მსოფლიოში. მშვიდობის მტრები ცდილობენ გააძვირონ საერთაშორისო მდგომარეობა, დააშინონ ლათინური ამერიკის ხალხები და სხვა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, რომლებიც აღდგნენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად. მაგრამ იმპერიალისტთა გეგმებს განხორციელება არ უწყობიათ. შეუძლებელია მუხლებზე დაყენონ კუბელი ხალხი. მას მხარში დღეს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა უდგას. კუბელი ხალხისათვის ამ მძიმე საათს ჩვენ, საბჭოთა მშვიდობის

რ. ანანიუჩინის ძიებებს შედეგი

ლვოში. (ტელეფონით). აქ გრძელდება უძლიერესი საკავშირო შეჯიბრება ტყეით სროლაში. მცირეკალიბრიანი პისტოლეთიდან 50 მეტრზე სროლაში „ლინამოს“ ქალთა გუნდმა ს. ტიანენს, მ. სოროკინსა და რ. პუკუნოვს შემაღველობით 900 შესაძლებელიდან მოაგროვა 803 ქულა, რაც პირველი საკავშირო რეკორდია, ვინაიდან ეს მაჩვენებელი აღებატება რეკორდების რეგისტრაციის საწყის ნორმატივს. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში სამი მდგომარეობის ჩაშში უძლიერესი აღმოჩნდა სერგლოვესკი ე. კნიაზევი, რომელმაც ქაბუტა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა, მოაგროვა 574 ქულა და ერთი ქულით გაუმჯობესა ლ. ლუსტიგრის საკავშირო მიღწევა, რომელიც დამყარებული იყო შარშან თბილისში გამართულ შეჯიბრებაზე.

საბჭოთა არმიის ქალთა გუნდმა თბილისელ ლ. გრუზდევას, აგრეთვე ე. ზახარჩენოსა და ტ. რაბინსკაიას შემაღველობით პირველი ადგილი მოიპოვა ქალთა შორის ამ იარაღიდან სროლაში. ვაჟთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა მოიგო ლენინგრადელმა ა. პეტერევემა, მან 568 ქულის მოგროვება შეძლო და 4 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გამოსულ თბილისელ ანანიუჩინს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საკავშირო რეკორდის დამყარებისათვის რ. ანანიუჩინს გადაეცა ოქროს მედალი.

ანბარში იგრძება მ. ბოტვინიჩის სასარგებლოდ

მოსკოში. (ჩვენი ხეც. კორ.). XII პარტიაში ტალის გამარჯვებამ კვლავ გააღვიძა ინტერესი მატჩ-რევანშისადმი. XIII პარტიის დროს ესტრადის თეატრი კვლავ აივსო მყურებლებით.

პარტია დაიწყო ძველი დღური დაცვით, რომელი დიდი შორტულია ტალი. „როგორც იქნა დაბრუნდა თავის ძველ იარაღს, ახლა კი ვნახავთ სანახობას“, — გაიგონებდით დარბაზში. მაგრამ სანახობა „ტალისტების“ სასიამოვნო ვერ გამოდგა. ბოტვინიჩმა დასაწყისშივე განმუხტა დამაბულობა ცენტრში, გაცვალა ლაზიერები. ექს-ჩემპიონის ეს ნაბიჯი გასაგებია — მას ყაიმი უწყობდა ხელს. ტალმა სცადა თამაშის ვართულება, რისთვისაც აქტიური ოპერაციები გააჩაღა ლაზიერის ფრთაზე. ბოტვინიჩმა შექმნა გამსვლელი პაიკი

ცენტრში და კონტრატრეკით თვითონ ხელთ იგლო ინიციატივა ლაზიერის ფრთაზე. პაიკის დროებითი შეწირვით ბოტვინიჩი ცენტრში შეიჭრა ტალის პოზიციაში და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეტრუნებინა პაიკი და

დაეშვა ბოტვინიჩის გამსვლელი პაიკის წინსვლა: მალე ამ პაიკმა მიადგინა მეშვიდე პირიონტალს და შებოჭა შევების ფიგურები. პარტია გადაიღო.

18 აპრილს ტალი დარწმუნდა რა შეწყვეტილი პოზიციის უიმედობაში, თამაშის განუახლებლად დათმო პარტია.

გუშინ, გაიმართა მატჩ-რევანშის XIV პარტია. თეთრებით თამაშობდა მ. ტალი. დებიუტში მსოფლიო ჩემპიონმა ორი პაიკის შეწირვით მიიღო უკეთესი პოზიცია, მაგრამ შეხვდა რა ექს-ჩემპიონის საიმედო დაცვას, იძულებული გახდა ყვირით დაკმაყოფილებულიყო.

ამრიგად, ანბარში გახდა 9:5 მ. ბოტვინიჩის სასარგებლოდ.

ფინალ მოჭიდვითა ტურნა

ახლოდება თავისუფალი და კლასიკური ტურნაში მსოფლიო პირველობის ვადები. ტურნაში, რომელიც მოეწყობა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, წარმატებით მოწარმების მიზნით სხვადასხვა ქვეყნის გუნდები მთელ რიგ ამხანაგურ შეხვედრებს მართავენ. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ამ ცოტა ხნის წინ ირანელი მოჭიდავეები იყოფებოდნენ, ახლა კი მას ფინეთის კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ეწყვივნენ.

პირველი მატჩი ფინეთის და რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეთა შორის გაიმართა ლენინგრადში. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა 6,5:1,5. შემდეგ სტუმრები ჩავიდნენ მინსკში, სადაც შეხვედრენ საბჭოთა კავშირის ნაკ-

რებს. ეს შეხვედრა ჩვენმა მოჭიდავეებმა მოიგეს „მშრალა“ ანბარში 8:0.

უმჯობესი წონაში კონტრეკვიპი წმინდალ დაამარცხა რუკვისტი, ასეთივე შედეგი იქნა ფრანკურული მატჩე წონაში ევაპი-იულინის შეხვედრისას. ფიშბენმა ქულებით დაამარცხა პონსილელოში, კორშუნოვა — ლებტონენი, ფედლოვა — ვალკოვა, ჩუჩალოვა — ლაკი, აბაშიძემ წმინდალ მოუგო ბრძოლა ლებტოს, ხოლო ზალუსკიმ — მიაკიჩინი.

რუსეთის ფედერაციის ნაკრები გუნდი თავისუფალ კიდაობაში ფინეთის ნაკრებს იარსლავლში შეხვდა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 7,5:0,5. ნახევარი ქულა სტუმრებს მოუტანა იანკარიმ, რომელმაც ფრედ დამატარა შეხვედრა კირკოსიანთან.

ი. გაგარინის სახელობის თასი

გაგარინის უმაგალითო გამირობა, კოსმოსში გაფრენამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მთელს მსოფლიოში.

გამოჩენილმა გერმანელმა ველისბედისტმა გუსტავ-ადოლფ შურმა განაცხადა: „მე ბედნიერი ვარ, რომ მოვფრწარი იმ დიდებულ დღეს, როცა ადამიანმა ფეხი შედგა კოსმოსში. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დაუღალავი ძიება დასრულდა დამახებრებული წარმატებით. მე ყველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ კოსმოსის დამპყრობი საბჭოთა კავშირის მოქალაქე იქნებოდა. მე გამაყვრება და აღმაფრთოვანა მხოლოდ იმან, რომ საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე გამირობა სინამდვილედ იქცა ასე მოკლე დროში“.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სპორტის მესვეურებმა ადამიანის მიერ კოსმოსის „კარის გაღების“ სამახსოვროდ დააწესეს — „გაგარინის თასი“. 12 აპრილს, ი. გაგარინის გამირობის დღეს, გაიმართა პირველი შეჯიბრებები „გაგარინის თასზე“. ნეისტრელიცში ერთმანეთს შეხვედნენ ნეიბრანდენბურგის ოლქის ნორჩი ხელბურთელები და გამოვლიდნენ თასის პირველი მფლობელნი, დადგინდა, რომ „გაგარინის თასზე“ შეჯიბრებები ჩატარდება ყოველი წლის 12 აპრილს.



საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Л Е Л О

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მ. 17 წელი.


№ 46 (1684) ოქტომბერი, 20 აპრილი, 1961 წ. ოცეული

მომხრენი, გამოვთქვამთ ჩვენს ღრმა და უსაზღვრო სოლიდარობას გამირობი კუბელი ხალხისადმი. ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს აღტაცებას კუბის ხალხის გამირობითა და მამაცობით, რომელიც თავისი სახელოვანი ბელადის ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით მტკიცედ და შეურყევლად იცავს მშობლიური მიწის ყოველ მტკაველს.

ჩვენ გისურვებთ თქვენ, ჩვენს კუბელს ძიებო და დებო, გამარჯვებას თქვენს წმიდათაწმიდა ბრძოლაში შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-ს მმართველი წრეების მიერ ხორციელდება.

მშვიდობის ყველა მეგობართან ერთად საბჭოთა მშვიდობის მომხრენი მტკიცედ აცხადებენ:

ხელები შორს გამირობ კუბისაგან! ინტერვენტები უნდა გაეთრიონ კუბის მიწა-წყლიდან!



ფიზკულტურა და სპორტის განვითარების საქმეში რესპუბლიკებს შორის გამარჯვებულის დასაწილოებად გასულ წელს საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა გარდასავალი დროშები. 1959 წლის მაჩვენებლების მიხედვით დროშა მოიპოვა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა. მას შემდეგ განვლილ ერთმა წელმა, ამ პერიოდში ყველა მომემ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ძალების დაუზოგადად იბრძოდნენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და საპატიო ჩილდოს მოპოვებისათვის.

მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს ამ საქმეში უკრაინის, საქართველოსა და ესტონეთის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურელთა რაოდენობის ზრდის გეგმა შესრულდა 110,1 პროცენტით. რესპუბლიკის შემებატა 106,717 ახალი ფიზკულტურელი. ამაყად საქართველოს მთელი მოსახლეობის 15,2 პროცენტი მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს.

გასული, 1960 წლის განმავლობაში საქართველოში მოშალდა 209 ოსტატი და გეგმა განადგებულ იქნა 134,8 პროცენტით. მოშალდა 1.682 პირველანობიანი, სხვა თანრიგები შეასრულა 59.394 ფიზკულტურელმა, მოშალდა 3261 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი. შარშან ყველა ხანის შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 1.701 ათასმა კაცმა.

ამ მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გამარჯვებულად ცნო საქართველოს სპორტკავშირი და განმეორებით დაუტოვა მას გარდასავალი დროშა. წითელი დროშით დაკოლოვდნენ აგრეთვე უკრაინისა და ესტონეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები.

★
ამას წინათ მოსკოვში დამთავრა და საბჭოთა კავშირის პირველობა ფიგურულ სროლაში. პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა გოგონამ ტ. ნემცოვამ.

სურათში: ტ. ნემცოვა შეჯიბრების დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.



საქართველოს პირველი მსაგმი ტური


ლათა მკისომში. მასპინძლებმა აწვევენ ტაქტიკურად გამაზნული თამაში და მიაღწიეს კიდევ გამარჯვებას — 6:2.

ბურთი, ეს ანგარიში — 2:0 ფოთელთა სასარგებლოდ არ შეცვლილა მატჩის ბოლომდე.

ედგა ფეხბურთში საქართველოს პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

ლისში თამაშობდა ადგილობრივი არმიელთა წინააღმდეგ. ორივე გუნდი მოქმედებდა უნიციტა-

ბელემა მიიღეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება და ზუსტად გამოიყენეს იგი — 1:1.



ხოზის „კოლხეთი“ თაგვის მინდორზე თამაშობდა თელავის „კოლმეურნისთან“ და შეხვედრაზე გუნდები წაივინდნენ.

გეგეპკორში ერთმანეთს შეხედნენ ადიგენის „მეჩინაბატონი“ და გეგეპკორის „სახლინი“.

სოხუმში შედგა „ბ“ კლასის გუნდების პირველი მატჩი „რიწახა“ და კაუნახის „ბანგას“ შორის.

კალოსნობა

ბათუმში დამთავრდა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება.

საქართველოს სპორტის 40 წელიწადი

ნაში — ბაზაქმ (თბილისი) — 405 კგ. მძიმე წონაში — სანიკიძემ (თბილისი) — 412,5 კგ.

ოსტატმა ა. კრავჩენკომ, რომელიც მარტო ამ დღეს დააგროვა 1071 ქულა — იმდენი, რამდენიც ქუთაისის გუნდმა (!?).

გ. კოვირინამ მცირე განსხვავებით მიაწრო ფინიში ჯ. კილასონიას (თბილისი) და მოიპოვა პირველი ადგილი.

გუნდები დაყოფილი იყვნენ 2 ჯგუფად: პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის, რუსთავის მტკალურ-ვიული ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ორთქლმწვან - ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ბათუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების, ქიათურის ლენინის სახ. მადაროს და სოხუმის ძალოსანთა გუნდები.

თანამედროვე ხუთჭილი

არაერთხელ თქმულა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ხუთჭილი ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო გავრცელება. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე, სადაც მონაწილეობდა თბილისის ოთხი და ქუთაისის ერთი გუნდი.


პირად ჩათვალა ჩემპიონის წოდება მოიპოვა ა. კრავჩენკომ. რომელმაც დააგროვა 4.616 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ზ. გვასალია და ა. სმირნიცი.




გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის პირველი გუნდმა. ვინაიდან თბილისის დანარჩენი გუნდები გამოდიოდნენ კონკურსგარეშე, მეორე ადგილზე არიან ქუთაისელი ხუთჭიდლები.

ნიგროსნობა

თბილისის ზღვაზე ორ დღეს გასტანა შეჯიბრებაში აკადემიურ ნიგროსნობაში საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით, პირველობაზე სრული გუნდები გამოიყენეს თბილისის პირველი და მეორე კოლექტივებმა, ხოლო ფოთის, ქუთაისისა და ბათუმის სპორტსმენები მონაწილეობდნენ მხოლოდ ზოგირთ სახეობაში. ქალთა ერთმოსასმელიანი ნაევით რბოლაში თბილისელმა



პირველობა რამოსასმელიანი შეჯიბრებაშიც. გასაშლელი ორადგილიანი შეჯიბრების სტარტზე მხოლოდ ორი ნაევი გამოვიდა. საქართველოსა და საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები ო. ბერელიძე-გ. სილაგაძე და ფოთელი სპორტსმენები მ. ნარსიანი-გაწერელია გამარჯვება დარჩათ ფოთელებს, რომლებმაც უკანასკნელ 100 მეტრზე შეძლეს უპირატესობის მოპოვება. მ-ადგილიანი ნაევით რბოლა ვაეთა შორის ყველაზე საინტერესო გამოდგა. ამ ტიპის სამ ნავთან ბრძოლის სურვილი გააძლიერებდა მთხადგილიანი ნავის გუნდმა, რომელმაც არა მარტო წინააღმდეგობა გაუწია რვაადგილიანებს, არამედ თბილისის პირველი გუნდის შემდეგ მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.



ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნაევით შეჯიბრებაში უპირატესობა კვლავ თბილისელების ს. კუპრეიშვილისა და ვ. ბედნენკოს მხარეს იყო.

გუნდურ შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა: თბილისის I გუნდი, თბილისის II გუნდი, ფოთის გუნდი.

კალაბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 25
უძლიერესი სპორტამენის სია 1960 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

ქალები

ცენტრალური თავდასხმელები

- ვ. კოსტიკოვა (სიმ. მოსკოვი) 26 წლის 177 სმ
- ლ. ნიკიტინა („ბურ“ ლდ) 24 წლის 180 სმ
- ს. სმილძინია (ტბტ რიგა) 18 წლის 187 სმ
- ვ. ლუტსევა (უსკა ტარტუ) 22 წლის 182 სმ
- ნ. ოსტაპენკო („დინ“, კიევი) 26 წლის 180 სმ

თავდასხმელები

- ი. დაკარაიტე (კვი კაუნასი) 25 წლის 176 სმ
- ნ. ერიონია („დინ“, მოსკოვი) 28 წლის 172 სმ
- მ. ოტსა (უსკა ტარტუ) 30 წლის 174 სმ
- ლ. ედელევა („ტრუდი“, სვერდ) 22 წლის 178 სმ
- ზ. ეგერევა („ბურ“, როსტ.) 26 წლის 175 სმ
- ნ. ზაზნობინა (სკა ლდ) 34 წლის 172 სმ
- ე. იანსონ-კატსინგი (უსკა ტარტუ) 27 წლის 172 სმ
- ვ. კულამი (უსკა ტარტუ) 31 წლის 176 სმ
- ლ. სვეტლოვა („ბურ“, ლდ) 31 წლის 172 სმ
- ტ. სმეკალოვა („ბურ“, ლდ) 22 წლის 168 სმ

მცველები

- გ. დრონოვა (სკიფი ლდ) 24 წლის 166 სმ
- რ. კუზნეცოვა (სიმ მოსკოვი) 24 წლის 167 სმ
- ნ. პოზნანსკაია (სკა ლდ) 29 წლის 170 სმ
- ს. ბუხტა-ბიტნერე (ტბტ რიგა) 26 წლის 172 სმ
- გ. იაროშევსკაია („ტრუდი“, მოსკოვი) 31 წლის 172 სმ
- ა. ალტბერგა (ტბტ რიგა) 27 წლის 170 სმ
- ნ. არციშევსკაია („ტრუდი“, მოსკოვი) 28 წლის 172 სმ
- ი. ეგლორევა („დინაპო“ კიევი) 37 წლის 158 სმ
- ი. კისელიოვა (სკა ლდ) 22 წლის 169 სმ
- გ. რუცინსკაია („დინ“, კიევი) 24 წლის 163 სმ

ვაჟები

ცენტრალური თავდასხმელები

- ვ. ზუბოვი (ცსკა) 24 წლის 202 სმ
- ი. კრუმინი (სკა რიგა) 31 წლის 218 სმ
- ა. პეტროვი („დინ“, მოსკოვი) 22 წლის 209 სმ
- ა. ბენედიქტოვი („ბურ“, ლდ) 28 წლის 198 სმ
- ა. კანდელი („ტრუდი“ სვერდ) 26 წლის 195 სმ

თავდასხმელები

- ა. ვალტინი (სკიფი კიევი) 21 წლის 204 სმ
- გ. ვოლოვი (ცსკა) 22 წლის 201 სმ
- ი. კორნევი („დინ“, მოსკოვი) 24 წლის 198 სმ
- მ. სემიონოვი (ცსკა) 28 წლის 193 სმ
- ვ. უგრეხელიძე („დინ“, თბილისი) 22 წლის 196 სმ
- ბ. ბოჩკარიოვი (ცსკა) 30 წლის 193 სმ
- ი. ერემევი („ტრუდი“ სვერდლ.) 25 წლის 192 სმ
- გ. მუიენიესი (სკა რიგა) 23 წლის 204 სმ
- ვ. სტრემოლნი (სკიფი კიევი) 25 წლის 188 სმ
- ვ. ხარტონოვი (ცსკა) 27 წლის 196 სმ

მცველები

- მ. ვალდმანისი (სკა რიგა) 25 წლის 188 სმ
- გ. მინაშვილი („დინ“, თბილისი) 25 წლის 186 სმ
- ვ. მუიენიესი (სკა რიგა) 28 წლის 185 სმ
- ც. ოზერსი (ვეფი რიგა) 26 წლის 181 სმ
- ა. ალაჩინი (ცსკა) 31 წლის 175 სმ
- ი. კალნინი (სკა რიგა) 23 წლის 186 სმ
- ვ. კონდრაშინი („სპარტ“ ლდ) 32 წლის 175 სმ
- რ. მასილსი („ვალგარისი“ კაუნასი) 23 წლის 192 სმ
- მ. სტრენევი („დინ“, მოსკოვი) 27 წლის 186 სმ
- ა. ტრაკინი (ცსკა) 24 წლის 187 სმ

შენიშვნა: შავი შრიფტით გამოყოფილია ის მოთამაშეები, რომლებიც 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაერების შემადგენლობაში გამოდიოდნენ.

„მეტალურგი“ — რუსთაველი


უფროსი მწვრთნელი მ. მინაევი, მწვრთნელი რ. მახარაძე. მეკარეები — ს. ადამოვი, ლ. ილურიძე; დაცვა — ა. გლოიანი, ბ. ხვედელიძე, ა. დუდნიკოვი, ვ. ბარათაშვილი; ნახევარდაცვა — მ. ანთიძე, ვ. რამიშვილი, გ. წულაძე. თავდასხმა — ს. ჭავჭავაძე, გ. ქოჩიაშვილი, გ. ანთიძე, ს. ნავროზაშვილი, რ. მამედოვი, ბ. გაგნიძე, დ. ქურციკიძე, დ. ხაბეიშვილი, პ. კალაშნიკოვი.

„ტორპედო“ — ქუთაისი


უფროსი მწვრთნელი — უ. სალდაძე, მწვრთნელი — ს. ერქომაიშვილი. მეკარეები — რ. ურუშაძე, გ. მერაბიშვილი; დაცვა — ი. ლოსაბერიძე, გ. ცხოვრებოვი, ზ. ვაინარაშვილი; ნახევარდაცვა — თ. პეტრიანიშვილი, ნ. სარკველაძე, გ. ნიშინიანიძე; თავდასხმა — გ. სორდია, გ. ლევაჟა, დ. ხაბაია, გ. გომელაური, ზ. მაჭარაშვილი, ბ. გვიმრაძე, ა. ავალიანი.

შესარჩევი მატჩი

შენიშვნა ამ დღეებში შედგა შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში მექსიკისა და კოსტა-რიკის გუნდებს შორის, მექსიკელებმა მოწინააღმდეგე დამარცხეს ანგარიშით 4:1. მექსიკისა და კოსტა-რიკის გუნდებს ამჟამად აქვთ 4 ქულა თვითულა 6 შესაძლებელიდან და თითო დარჩენილი მატჩი ნიდერლანდების კუატ-ინდოეთის გუნდთან. მოსალოდნელია, რომ დარჩენილ შეხვედრებს მოიგებს ორივე გუნდი და მაშინ მათს შორის დაინშენება დამატებითი თამაში.



მოსკოვში ამას წინათ ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება ფიგურულ სრიალსა და ყინულზე ცეკვაში. სურათებზე: შეჯიბრების მონაწილენი მარცხნივ — ნ. და ს. უუკები (სსრკ), რ. ბლუმბერგი და ვ. მენ-შინგი (გფრ).




ფოტო ვ. ტუტოვისა.

რედაქტორი ი. უგულავა.

23-26 აპრილი

მ. ი. ლენინის სსრ დარბაზი საერთაშორისო შეხვედრა



ფარიკაობაში

მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, სოხეთისა და საქართველოს ნაერები გუნდები. დასაწყისი 10 და 17 ს.

ლენს!

„გუმბახტნიკის“ სალიონი




„დაუბავა“ (რიგა) „დინამო“ (თბილისი) დასაწყისი 17 ს. 30 წ.

სპორტში

ახალი ტარზანი

ცნობილია ამერიკელმა მძლეოსანმა დონ ბრეგმა რომის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი ჭოკით ტომში და სულ ახალაზან დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. დონ ბრეგს გადაწყვეტილი აქვს დათანხმდეს პოლიციის ერთ-ერთი ფორმის წინადადებას და შეასრულოს ტარზანის როლი. ვაზეთები წერენ, რომ იგი ამ როლისათვის სავსებით შესაფერისია როგორც თავისი ათლეთური გარეგნული მონაცემებით, ისე შესანიშნავი შედეგებით ჭოკით ტომში.

ახალგაზრდა ჩხატავართა კუთხე



უსიძველო... ნახ. გ. დოლიძისა.


ზუგდიდელი ცხენოსნობის მოყვარულები ე. კანკია და ე. ჩანგელია გვთხოვენ ვუამბოთ პორდუბიცის დიდი სტიპლ-ჩეზის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პორდუბიცეში ყოველი წლის შემოდგომაზე იმართება ცხენოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის პროგრამაში უძნელესია დიდი პორდუბიცის სტიპლ-ჩეზი.

პორდუბიცის დიდი სტიპლ-ჩეზი პირველად გაიმართა 1907 წელს. დისტანცია უდრის 6.900 მეტრს 31 წინალობით.

საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ 1954 წლიდან და 4-ჯერ მოიპოვეს პორდუბიცის სტიპლ-ჩეზის პრიზი, 1957 წელს მისი მფლობელი გახდა ვ. ფედინი, მომდევნო ორ წელს გამარჯვებული გამოვიდა ვ. პრაბოვი, ხოლო შარშან იგი მოიგო ი. ავდევევა.

ლენინგრადელი შ. მარგინი გვწერს: ამას წინათ წავიკითხე სოციალისტური არმიების მძლეოსანთა შეჯიბრებაზე გ. გროლოცკის გამარჯვების შესახებ. მაინტერესებს ვინაა იგი და რა შედეგები აქვს?



გ. გროლოცკი გერმანელია, მუშაობდა მონტეროდის კალის შახტში. 17 წლის ასაკში მოიგო ჭაბუკ მძლეოსანთა შეჯიბრება. გერმანიის ლემოკრატული რესპუბლიკის არმიოში გაწვევის შემდეგ წვრთნა დაიწყო კ. ენსის ხელმძღვანელობით და მალე წარმატებულად მი-აღწია, რომის ოლიმპიურ თამაშებზე დაიკავა მე-2 ადგილი 5 კმ — 13.44,6 და 10 კმ რბენაში — 28.37,0. გროლოცკი ამჟამად 24 წლისაა.